საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1194 2019 წლის 22 მაისი ქ. თბილისი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებისათვის საჭირო საქონლის (თანმდევი მომსახურებით) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 მაისის №1030 განკარგულების საფუძველზე, შემეცნებითი სივრცის მოწყობისათვის საჭირო კონსტრუქციის – შესასვლელი თაღის (თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საერთო ღირებულებით – 28 958 ლარი, დღგ-ის ჩათვლით).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1 ბეჭდი

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე